სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№3 (252) მარტი, 2012 წ. www.tsmu.edu

საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში — გვ. 2

პირველად საქართველოში — გვ. 3

სახელოვანი იუბილარი — გვ. 4

სტუდენტური გვერდი — გვ. 5

დამშვიდობება დიდ დასტაქართან — გვ. 7

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია:

ასათიანის ქ. №7;

ოთახი №600

ტ.: 254-24-64;

რედაქტორი

დალი გაბეშია

ტ: 599 76-25-98

კორესპონდენტები:

მანანა ფხალაძე

ტ.: 555 29 98 27

დარეჯან კომლაძე

ტ.: 558 17 08 47

ნატო ბოლქვაძე

ტ.: 555 28 28 97

დამკაბადონებელი

ლია კიკილაშვილი

ელ. ფოსტა:

medpressa@yahoo.com

გაზაფხულის მობრძანებას და ქალთა დღესასწაულებს გილოცავთ!

გაზაფხულის სილამაზე, სიხალისე და მრავალფეროვნება არ მოგკლებოდეთ, ქალბატონებო!

პრეზენტაცია

სტუდენტთა დასაქმება

საქართველოს პრეზიდენტის, ბატონი **მიხეილ სააკაშვილის** მიერ პარლამენტის სხდომაზე წარდგენილ საანგარიშო მოხსენებაში მრავალ ინოვაციურ წინადადებათა შორის ერთ-ერთი საზაფხულო არდადეგებზე სტუდენტთა დასაქმება იყო.

სწორედ პრეზიდენტის ამ ინოვაციური წინადადების გამოძახილი იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარებული პრეზენტაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტისა — **„სტუდენტთა დასაქმების პროგრამა საზაფხულო არდადეგებზე“.**

პრეზენტაციაზე სტუდენტობა ჭარბობდა. აქ ბრძანდებოდნენ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, ბატონი **მიხეილ დოლიძე,** მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს „სტუდენტთა დასაქმების პროგრამის“ ხელმძღვანელები, ბატონები: **კახა ლაბუჩიძე** და **თემურ იოანიძე,** სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი **ზურაბ ვადაჭკორია,** ვიცე-რექტორი, ბატონი **დავით ჭავჭანიძე,** კანცლერი, ბატონი **ზურაბ ორჯონიკიძე,** დეკანები, პროფესორ-მასწავლებლები და სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი პირები.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, მიმდინარე წლის 20 ივლისიდან 20 აგვისტოს ჩათვლით, უნდა დასაქმდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიტის 25 000 სტუდენტი, რომელთა დასასაქმებლად შემოთავაზებულია 70-ზე მეტი სხვადასხვა სფეროს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის ქვედა რგოლის სამუშაოები. თითოეულ დასაქმებულ სტუდენტზე სახელმწიფო 500 ლარს გამოყოფს.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ, ბატონმა **მიხეილ დოლიძემ,** დამსწრე საზოგადოებას განუმარტა, რომ სტუდენტთა დასაქმება მოხდება მათი კვალიფიკაციის მიხედვით, კერძოდ, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები დასაქმდებიან სამედიცინო დაწესებულებებში სანიტრებად, თუმცა შეეძლებათ სასურველ სფეროშიც მუშაობა, თუნდაც ზღვის კურორტებზე. მისი აღნიშვნით, წარმოდგენილი დასაქმების პროექტი იძლევა მრავალ შესაძლებლობას, განსაკუთრებით რეგიონებში ახალგახსნილ კლინიკებთან მიმართებაში, რომ მომავალმა ექიმმა ამგვარი დასაქმებით კიდევ მეტად გააცნობიეროს არჩეული პროფესია და დამსაქმებლებს მიმართა თხოვნით — იზრუნონ სტუდენტთა დასაქმებაზე.

განათლების სამინისტროს „სტუდენტთა დასაქმების პროგრამის“ ხელმძღვანელმა, ბატონმა **კახა ლაბუჩიძემ.** აღნიშნა: „სტუდენტთა დასაქმების პროგრამის“ მიზანია, ერთი მხრივ, სტუდენტმა მიიღოს დამოუკიდებელი მუშაობის გამოცდილება, შეითვისოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები იმ სფეროში, სადაც მომავალში სურს მოღვაწეობა. მეორე მხრივ, პროექტი დამსაქმებლებს სთავაზობს ადამიანურ რესურს და მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს ნულოვანი ფინანსური დანახარჯის გარეშე. პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ჩვენს ქვეყანაში სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების თვალსაზრისითაც, რადგან მსგავსი პრაქტიკა დანერგილია და წარმატებით ხორციელდება დასავლეთის ქვეყნებში.

პრეზენტაციაზე მეორე მნიშვნელოვანი საკითხი იყო შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ეხება უმცროსი ექიმების მიერ სარეზიდენტო პროგრამის გავლის შესაძლებლობას. უმცროს ექიმებს, რომლებიც ჩააბარებენ ერთიან დიპლომისშემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდას, ეუნებათ უფლება გაიარონ სარეზიდენტო პროგრამის შემადგენელი მოდულები და პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ჩააბარონ სასერტიფიკაციო გამოცდა. ეს ინიციატივა მოაგვარებს რეზიდენტურისათვის ლიმიტირებული ადგილების სიმცირის პრობლემას და ხელს შეუწყობს ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებას, ამავე დროს, დაეხმარება ახალგახსნილ კლინიკებს მოიძიონ ახალგაზრდა, მოტივირებული სპეციალისტები.

მინისტრის მოადგილემ უპასუხა შეკითხვებს, რომელიც პრეზენტაციაზე დაისვა.

დალი გაბეშია

სიახლე

რეორგანიზაცია სამედიცინო უნივერსიტეტში

ახლახან, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიულ პირად (სსიპ) ითვლებოდა, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ა(ა)იპ გახდა.

აღნიშნული რეორგანიზაციის შესახებ განმარტება ვთხოვეთ თსსუ-ის კანცლერს, ბატონ **ზურაბ ორჯონიკიძეს,** რომელმაც აღნიშნა:

— საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 ნოემბრის №413 დადგენილების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირი — „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი“ რეორგანიზებულ იქნა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტად.

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის — „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ — საქმიანობასთან დაკავშირებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ — საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზედამხედველობით, უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი კოლეგიური ორგანო — რეგენტთა საბჭო.

კერძო სამართლის იურიდიულ პირს (არაკომერციულს) უფლება აქვს, განახორციელოს კანონით დასაშვები ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებული.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია, ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას; ასეთი საქმიანობის შედეგად, მიღებული მოგების განაწილება ა(ა)იპ-ის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების პირებს შორის დაუშვებელია.

კანონით — „უმაღლესი განათლების შესახებ“ — შესაძლებელია ა(ა)იპ — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქონების და ფინანსების ნაწილი სამართავად გადაეცეს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდს.

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №211/6 ბრძანებით, დამტკიცდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის — „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ წესდება.

საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში

საინტერესო ლექციები, კონსულტაციები, პრაქტიკული მეცადინეობები

ევროპის და ამერიკის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებელთა სტუმრობამ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სისტემატური ხასიათი მიიღო – უცხოელი სტუმრები სტუდენტებს სთავაზობენ ლექციებს საბაზისო და კლინიკური მედიცინის სხვადასხვა სფეროში.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ფარგლებში, თსსუ-ს ამჟამადაც ეწვია ჯგუფი უცხოელ მედიკოსთა შემადგენლობით, რომელთაც არაერთი საინტერესო მოხსენება წარმოადგინეს, კერძოდ, პროფესორებმა – **ენდრიუ კინგსნორთმა,** დიდი ბრიტანეთის პენინსულას უნივერსიტეტიდან, **სანჯივ გუფთამ,** აშშ-ის ალბერტ ეინშტეინის სამედიცინო სკოლა, იეშივას უნივერსიტეტიდან, **ტიმო ულრიხმა,** შარიტეს სამედიცინო უნივერსიტეტის და გერმანიის ჯანდაცვის სამინისტროს საერთაშორისო ჯანდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, **პიტერ ალკენმა,** ჰაიდელბერგის უნივერსიტეტიდან, **ტრონდ ჰალსტენსენმა,** ოსლოს უნივერსიტეტიდან, **გაბრიე გურმანმა,** ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტიდან და სხვებმა.

ლექციების პარალელურად, კლინიცისტმა პროფესორებმა, ასევე, ჩაატარეს კონსულტაციები და ოპერაციები, კერძოდ, გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში – ბავშვთა ქირურგმა ისრაელიდან, **იცხააკ ვინოგრადმა,** გოჩა ინგოროყვას საუნივერსიტეტო კლინიკაში – ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორმა, **ჰერკვიგ კოსტრონიმ,** უროლოგიის ეროვნულ ცენტრში – ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორმა, **პიტერ ალკენმა** და სხვებმა.

აღსანიშნავია, რომ პროექტი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის მიერაა შემოთავაზებული და კოორდინირებას უწევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სამომავლოდაც გაგრძელება.

სამედიცინო უნივერსიტეტის

კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორი, მანჰეინის უროლოგიური კლინიკის ხელმძღვანელი, **პიტერ ალკენი** ესტუმრა. გერმანელმა პროფესორმა, თანამედროვე აპარატურით და სიმულატორებით აღჭურვილ ცენტრში, სტუდენტებს პრაქტიკული მეცადინეობა ჩაუტარა და საკუთარი გამოცდილება გაუზიარა. ღონისძიებას, სტუდენტებთან ერთად, ესწრებოდნენ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრი, **დიმიტრი შაშკინი,** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია,** კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორი, პროფესორი **ირმა მანჯავიძე.**

გერმანელი მეცნიერის აზრით, საუნივერსიტეტო კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი სტუდენტებისთვის თეორიული ცოდნის პრაქტიკული თვალსაზრისით გამდიდრების შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა. მანვე სტუდენტებისთვის რამდენიმე საინტერესო ლექციაც წაიკითხა.

გადავწყვიტეთ, პროფესორ პიტერ ალკენისთვის მიგვემართა, რათა „სამედიცინო გაზეთის“ მკითხველთათვის საკუთარი შთაბეჭდილება გაეზიარებინა მისი ამჟამინდელი ვიზიტის, ასევე, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის, ქართველი ექიმების შესახებ:

„საქართველოს განათლების სამინისტროს პროექტის – სტუდენტთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით – ფარგლებში თქვენს უნივერსიტეტს ესტუმრნენ მეცნიერები მსოფლიოს არაერთი ქვეყნიდან – ისრაელიდან, ამერიკიდან, გერმანიიდან, ჩინეთიდან...

თანამედროვე მედიცინის სიახლეების გაცნობასთან ერთად, სტუდენტებს უჩნდებათ ახალი იდეები მედიცინის არაერთ პრობლემასთან დაკავშირებით. ეს ლექციები ახალგაზრდებს უხსნის გონებას და აძლევს საშუალებას, იაზროვნონ ახლებურად და იქონიონ საკუთარი წარმოდგენა ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ თქვენი საგანმანათლებლო სისტემა მაღალ დონეზეა და მორგებულია ქვეყნის მოთხოვნებს.

რაც შეეხება სკრინინგის პროგრამას, მსგავსი რამ გერმანიაში რამდენიმე წლის წინ დაიწყო და უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა მოსახლეობის ჯანმრთელობის პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით. აღნიშნული პროგრამის თქვენთან ამუშავება დიდი როლს შეასრულებს ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

ქართველ კოლეგებთან ურთიერთობა ჯერ კიდევ 20 წლის წინ დავიწყეთ, რამდენჯერმე მომიწია საქართველოში ჩამოსვლა და უნდა ითქვას, რომ პროგრესი, პროფესიული თვალსაზრისითაც, თვალსაჩინოა. უროლოგიის ნაციონალურ ცენტრთან და პროფესორ ლაური მანაგაძესთან, განსაკუთრებული ურთიერთობა გვაქვს – რამდენიმე კლინიცისტმა მათი ცენტრიდან, უკვე აიმაღლა ცოდნის დონე გერმანიაში და საამაყოა, რომ ისინი დღეს ევროპული დონის ექიმებად მოიაზრებიან. რაც შეეხება განსხვავებას თქვენსა და ჩვენს მედიცინას შორის, არავითარი განსხვავება არაა, თქვენი ექიმები ისეთივე თანამედროვენი და მცოდნენი არიან, როგორიც მათი უცხოელი კოლეგები.“

პროფესორმა **დავით ქოჩიაშვილმა** კი ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ მათთვის პატივია ცნობილი კლინიცისტის სტუმრობა: – **ბატონი ალკენი კლინიკაში ჩვენც ხშირად გვსტუმრობს, მისი კონსულტაციები და საუბრები ძალიან ბევრის მომცემია, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე, პროფესიონალებისთვის. სამწუხაროდ, ამჯერად ვერ მოხერხდა, რომ ოპერაციაზე დაგვსწრებოდა, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ კვლავ არაერთხელ გვესტუმრება და ცოდნა-გამოცდილებას არ დაიშურებს ქართველი ახალგაზრდებისთვის გასაზიარებლად, მისი დამოკიდებულება ჩვენი ექიმების მიმართ, დადებითია და სურვილი აქვს კიდევ ბევრი რამ გააკეთოს მათი პროფესიონალიზმის ასამაღლებლად.**

მოამზადეს
დარეჯან კომლაძემ
და მანანა ფხალაძემ.

ჩინელი სტუმარი ქართველ კოლეგებთან



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წლის 4-9 მარტს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს სტუმრობდა და ლექციები წაიკითხა **ჯეჟიანგის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის პათოლოგიისა და პათოლოგიური ფიზიოლოგიის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, პათოლოგიური ანატომიისა და სასამართლო მედიცინის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ჯოუ რენი.**

ჯეჟიანგის უნივერსიტეტი, რომელიც ქ. ხანჩეოუში მდებარეობს, დაარსდა 1897 წელს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტია. ამ უნივერსიტეტს, გასული წლის მონაცემებით, ჩინეთის უმაღლეს სასწავლებლებს შორის, ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონდა. 1912 წელს დაარსებული უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლა, ერთ-ერთი საუკეთესოა ქვეყანაში და მჭიდრო კონტაქტები აქვს აშშ-ისა და ევროპის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებთან.

ჩვენი უნივერსიტეტის სტუმარმა, პროფესორმა ჯოუ რენმა, 1988 წელს დაამთავრა ჯეჟიანგის უნივერსიტეტი, 1993-2000 წლებში სტაჟირებას გადიოდა ლუბეკის სამედიცინო უნივერსიტეტში(გერმანია), 1999-2000 წლებში კი ვუერზბურგის უნივერსიტეტის პათოლოგიის ინსტიტუტში შეასრულა სადოქტორო ნაშრომი; 2004 წელს ჩინეთში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 2008 წელს სტაჟირებას გადიოდა კალიფორნიის უნივერსიტეტის (აშშ) სამედიცინო სკოლაში. წლების მანძილზე იყო მშობლიური უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის ბაზისური მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. 2007 წლიდან არის პათოლოგიური ანატომიისა და სასამართლო მედიცინის ინსტიტუტის დირექტორი. მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავს ონკომორფოლოგიას, სიმსივნეების მოლეკულურ გენეტიკას, ლიმფოპროლიფერაციული დაავადების პათოლოგიის შესწავლას.



პროფესორმა ჯოუ რენმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეორე და მესამე კურსის სტუდენტებს წაუკითხა სამი ლექცია – ლიმფომების პათოლოგიის თანამედროვე მოლეკულური და გენეტიკური ასპექტები; მოლეკულური პათოლოგიის ადგილი თანამედროვე მედიცინაში; ჯეჟიანგის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლაში უცხოელი სტუდენტების მომზადების გამოცდილება.

თბილისში ვიზიტის დროს, პროფესორ ჯოუ რენს მნიშვნელოვანი შეხვედრები ჰქონდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის **პათოლოგიური ანატომიისა და ციტოპათოლოგიის დეპარტამენტში,** სადაც საინტერესო და ურთიერთსასარგებლო გამოცდილების გაცვლა მოხდა, როგორც პათოლოგიური ანატომიის სწავლების, ისე, პრაქტიკული პათოლოგოანატომიური საქმიანობის შესახებ. პათოლოგიური ანატომიისა და ციტოპათოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სტუმარს დაათვალიერებინეს თბილისის, მცხეთისა და გორის ღირსშესანიშნაობები. პროფესორ ჯოუ რენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა თსსუ-ის სტუდენტთა თვითშემოქმედებამ და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ოქროს საგანძურმა.

სამშობლოში დაბრუნებულმა პროფესორმა, ჯოუ რენმა, მადლობის წერილი გამოუგზავნა თსსუ-ის პათოლოგიური ანატომიისა და ციტოპათოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლებს, დიდი პატივისცემა და მადლიერება გამოხატა ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიმართ და იმედი გამოთქვა, რომ მისი ვიზიტი თბილისში დასაბამს მისცემს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და ჯეჟიანგის უნივერსიტეტებს შორის შემდგომ თანამშრომლობას.

რამაზ ჩიხლაძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიისა და ციტოპათოლოგიის დეპარტამენტის პათოლოგიური ანატომიის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი.

პირველად საქართველოში

მანიპულაცია ჰიპერტენზიული პაციენტებისთვის

აკაკი არჩვაძე – 2001 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტი; 2003-2005 წლებში რეზიდენტურა გაიარა მოსკოვის ბაკულევის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ცენტრში; 2007 წლის მაისიდან მუშაობს აკადემიკოს ნ.ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში ინტერვენციულ კარდიოლოგად, არის ინტერვენციული მედიცინის სექციის მთავარი სპეციალისტი.

ზვიად მათოშვილი – 2005 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი; რეზიდენტურა გაიარა თბილისის სამედიცინო აკადემიაში კარდიოლოგიის მიმართულებით, რომელიც დაამთავრა 2009 წელს; ამავე წლიდან მუშაობს აკადემიკოს ნ.ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში, არის არითმოლოგიის სექციის მთავარი სპეციალისტი.

ახლახან აკადემიკოს ნ.ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში დაინერგა ახალი მანიპულაცია – **თირკმლის რადიოსიხშირული დენევრაცია.** ეს ნამდვილად დიდი მიღწევაა და მისი ინიციატორია ამავე კლინიკის დირექტორი, პროფესორი **ნიკოლოზ ყიფშიძე.**

იმის გასარკვევად, თუ როგორ მოხდა ამ მანიპულაციის დანერგვა, რა ფორმით ხდება ჩარევა, როგორია შედეგი და რამდენად ხელმისაწვდომია იგი ფინანსურად ჩვენი მოსახლეობისთვის, ვესაუბრეთ ოპერატორებს, ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის ინტერვენციული მედიცინის სექციის მთავარ სპეციალისტს – **აკაკი არჩვაძეს** და არითმოლოგიის სექციის მთავარ სპეციალისტს – **ზვიად მათოშვილს.**

ახალგაზრდა ექიმებმა გვითხრეს: საქართველოში აღნიშნული მანიპულაციის ინიციატორია კლინიკის ხელმძღვანელი, ბატონი ნიკოლოზ ყიფშიძე. ეს მეთოდი 2-3 წელია, რაც დანერგილია ამერიკასა და ევროპაში. მეთოდის ასათვისებლად პროფესორი ნიკოლოზ ყიფშიძე თავად იმყოფებოდა გერმანიაში, სადაც მან თვითონ შეასრულა რამდენიმე პროცედურა, ჩამოსვლის შემდეგ კი ათვისებული ცოდნა და გამოცდილება გადასცა ქართველ სპეციალისტებს, რომლებმაც, მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით, უკვე ორ პაციენტს ჩაუტარეს ეს მანიპულაცია და შედეგიც წარმატებულია.

ამ მეთოდს თირკმლის რადიოსიხშირული დენევრაცია ჰქვია – გვიხსნიან ისინი და გვიყვებიან პროცედურის მიმდინარეობის შესახებ, კერძოდ: თირკმლის, როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა არტერიის კედლებზე, 4-5 წერტილში, მიმართული რადიოსიხშირული ზემოქმედებით ხდება ამ არტერიების გასწვრივ განლაგებული ნერვების დაზიანება. ეს არის მსგავსი ტიპის ზემოქმედება, რაც გამოიყენება გულში დამატებითი გამტარი გზების აბლაციების დროს, არითმიების მექანიზმების გასაწყვეტად, თუმცა თირკმლის ენდოვასკულარული დენევრაციის შემთხვევაში რადიოსიხშირული ზემოქმედება ხდება უფრო დაბალი სიმძლავრით, რათა არ მოხდეს არტერიის დაზიანება.

მანიპულაციამდე ავადმყოფს უტარდება თირკმლის ორმხრივი ანგიოგრაფია იმაში დასარწმუნებლად, რომ თირკმლის არტერიებში მნიშვნელოვანი პათოლოგია არ აღინიშნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მანიპულაცია არ ტარდება.

ამის შემდეგ არტერიებში ათავსებენ სააბლაციო კათეტერს და ახდენენ ზემოქმედებას არტერიის კედლის 4-5 წერტილში, თითოეულზე ორ-ორი წუთის განმავლობაში, გარკვეული შუალედებით.

აღსანიშნავია, რომ ეს მეთოდი გამოიყენება ესენციური ჰიპერტენზიის, და არათირკმლისმიერი, ან სხვა სახის მეორადი ჰიპერტენზიის დროს.

აღნიშნული პროცედურა არ უტარდებათ I ტიპის შაქრიანი დიაბეტით და თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულებს.

ჩვენმა რესპონდენტებმა განგვიმარტეს, რომ თირკმლის დენევრაცია არ ნიშნავს ვერცხლისწყლის სვეტის 200 მმ-დან 120 მმ-მდე ერთბაშად დაქვეითებას. ევროპის სტატისტიკური მონაცემებით, სისტოლური წნევის დაქვეითება ხდება 20-30, ხოლო დიასტოლურის – 15 ერთეულით. ეფექტი მდგრადია და შესამჩნევი შედეგი პროცედურიდან რამდენიმე დღის შემდეგ მიიღწევა, ხოლო მაქსიმალური – ერთი წლის შემდეგ. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ 20-30 ერთეულით წნევის დაქვეითება რეალურად ანახევრებს ინსულტის რისკს.

20-30 წლის წინ მსოფლიოში იყო მცდელობა ღია ქირურგიული წესით თირკმლის დენევრაციისა, თუმცა, ეს მეთოდი წარმატებული არ აღმოჩნდა.

თირკმლის რადიოსიხშირული აბლაციისას, ისევე, როგორც ნებისმიერი ინვაზიისას, არსებობს გარკვეული გართულების ალბათობა, თუმცა, ლეტალობა არსად დაფიქსირებულა.

აღნიშნული მანიპულაცია გერმანიის მრავალ და დიდი ბრიტანეთის რამდენიმე კლინიკაში კეთდება და მიღებულია, როგორც სამკურნალო პროცედურა.

არტერიული ჰიპერტენზია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა მთელ მსოფლიოში, მათ შორის, ჩვენს ქვეყანაშიც. არტერიული ჰიპერტენზიით დაავადებულია მილიარდზე მეტი ადამიანი. იგი მეტად საყურადღებოა, რადგან, გართულების შემთხვევაში, მაღალია ინვალიდობის ხარისხი და მკურნალობა – საკმაოდ ძვირი.

ბატონებმა აკაკიმ და ზვიადმა ისიც გვითხრეს, რომ პირველი მანიპულაცია ორ ავადმყოფზე უფასოდ ჩატარდა, რადგან ასეთი იყო კლინიკის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილება. კიდევ რამდენიმე პაციენტზე იგეგმება უფასო პროცედურა, შემდგომში კი, მისი ღირებულება 3500 ლარამდე იქნება, რამდენადაც სახარჯი მასალის თვითღირებულება საკმაოდ მაღალია.

რაც შეეხება მანიპულაციის ხანგრძლივობას, ის, დაახლოებით, 40 წუთი გრძელდება. მანიპულაციის შემდეგ, რადგან პუნქცია არტერიაშია, ხდება ჰემოსტაზი, პაციენტს საზარდულის მიდამოში ედება დამწოლი ნახვევი და ერთი ღამის განმავლობაში რჩება სტაციონარში, ხოლო მეორე დღეს შინ ბრუნდება.

ჩვენი საუბრის დროს ორ ავადმყოფზე მანიპულაციის ჩატარებიდან 10 დღე იყო გასული და უკვე შედეგიც დადგა. როგორც რესპონდენტებმა გვითხრეს, მათი პაციენტები თავს კარგად გრძნობენ. ექიმები შემდგომი პაციენტის მოლოდინში იყვნენ...

გისურვებთ წარმატებებს და გულგასახარ შედეგს ექიმებსაც და პაციენტებსაც.

დალი გაგეშია,
მანანა ფხალაძე

სტუდენტები

დაუვიწყარი სამი თვე

პროფესორი დ. შმიდტი

ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრირებისთვის ჩვენი უნივერსიტეტი მრავალ სასწავლო და სამეცნიერო ცენტრთან თანამშრომლობს, მათ შორისაა **ბერლინის შარიტეს კლინიკა, ქალაქ კოტბუსში,** სადაც სამი თვის განმავლობაში მოგვიხდა მუშაობა. ჩვენ, თბილისელი სტუდენტები, ხუთი კურსის თეორიული და კლინიკური ცოდნის მარაგით, პირდაპირ აღმოვჩნდით უცხოენოვანი პაციენტებისა და ხელმძღვანელობის წინაშე – დილის 7 საათიდან შუადღის 4-5 საათამდე საკუთარ თავს არ ვეკუთვნოდით, საათობით ვიდექით ოპერაციებზე, უშუალოდ ვმონაწილეობდით წინა და ოპერაციის შემდგომ მანიპულაციებში. ყოველი წუთი საინტერესო და, ამასთანავე, საპასუხისმგებლო იყო. შედარებით მშვიდ გარემოში ვმუშაობდით თერაპიულ განყოფილებაში – კავკასიური ემოციურობით წარმოდგენილი ჩვენი კლინიკური კომპეტენცია შეუმჩნეველი არ რჩებოდათ საკმაოდ თავშეკავებულ გერმანელ პაციენტებს.



თამარ ნიკურაძე



ნინო ბუაძე

სამსახურიდან დაბრუნებულებს კლინიკის კომფორტული საერთო საცხოვრებლის თბილი და ნათელი ოთახი გველოდა – სიწყნარე, გერმანული წესრიგი და საყოფაცხოვრებო ტექნიკით აღჭურვილი ნომრის პატარა სამზარეულო დასვენების და რელაქსაციის საუკეთესო საშუალება გახლდათ. ქალაქის, ცოტა არ იყოს, „ნაცრისფერი“ ცხოვრების ფონზე კი გართობასაც ვახერხებდით – დაუვიწყარია კოტბუსის ოპერის თეატრი, ევანგელისტური ტაძრის უძველესი ორღანი, მდინარე შპრეს ულამაზესი ხეობა, Carl-Thiem-klinikum-ის ძველი შენობის არქიტექტურა. დასვენების დღეებში უფრო შორი მარშრუტებიც გვქონდა: დრეზდენი, ბერლინი, ფრანკფურტი, ჩეხეთი, პოლონეთი.

თითქმის ორი თვეა, რაც ჩამოვედით და უფრო და უფრო ტკბილად გვაგონდება კოტბუსური ცხოვრების სამი თვე – ცხოვრებისეული, პროფესიული და ენის პრაქტიკის დიდი გამოცდილებით გაჯერებული.

მადლობა გვინდა გადავუხადოთ **სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, უცხო ენების დეპარტამენტს და უცხოეთთან ურთიერთობის სამსახურს, ჩვენს ქართველ და გერმანელ პედაგოგებს.** ვიმედოვნებთ, რომ მათი ერთობლივი ძალისხმევით საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში წარმატებული ინტეგრაციის შესაძლებლობა კვლავ არაერთხელ მოგვეცემა.

თამარ ნიკურაძე,
ნინო ბუაძე,
მედიცინის ფაკულტეტის
მე-6 კურსის სტუდენტები

სახელოვანი იუბილარი

რაა ოთხმოცი...

თბილისის „დინამოს“ ვეტერან ოსტატ-კალათბურთელთა შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან

ცნობები საექიმო გიოგრაფიიდან:

1950 წელს დაამთავრა თბილისის 24-ე ვაჟთა საშუალო სკოლა;

1956 წელს დაასრულა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი;

1957-58 წლებში მუშაობდა კლინიკურ ორდინატორად სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული, სანიტარულ-ჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების საფაკულტეტო თერაპიის კათედრაზე;

1958- 59 წლებში თბილისის მე-4 კლინიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ორდინატორია;

1959-70 წლებში ამავე კათედრის ასისტენტია;

1965 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია;

1970-89 წლებში აღნიშნული კათედრის დოცენტია;

1988 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში;

1989-94 წლებში მუშაობდა პედიატრიული ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა კათედრის პროფესორად;

1991-92 წლებში თსს-ის ინტერნატურისა და საწარმოო პრაქტიკის დეკანია;

1994-2001 წლებში შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკისა და თერაპიის კათედრის გამგე, 2001 წლიდან 2006 წლამდე ამავე კათედრის პროფესორია;

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო- პედაგოგიური საბჭოს, პედიატრიული ფაკულტეტის, კლინიკური და ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოების წევრია;

1992 წლიდან არის თსსუ ციკლობრივი მეთოდკომისიის თავმჯდომარე და ცენტრალური მეთოდკომისიის წევრი;

1990 წლიდან გასტროენტეროლოგიური და ინტერნისტთა გამგეობის წევრი;

1995 წელს იგი აირჩიეს საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრ-აკადემიკოსად;

გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი შრომა, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის გამოსცა „შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკისა და თერაპიის“ სახელმძღვანელო, სამედიცინო კოლეჯის მოსწავლეებისათვის — სახელმძღვანელო „შინაგანი სნეულებანი და მედდის მოვალეობა“;

2003 წელს დაბადებიდან 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“.

ცნობები სპორტული გიოგრაფიიდან:

1948 წელს იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის;

1951 წელს გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სამედიცინო ინსტიტუტებს შორის I საგაზაფხულო სპარტაკიადაზე;

1950-59 წლებში გახდა თბილისის „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდის წევრი;

1952 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი;

1953-54 წლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი;

1952, 59 წლებში არის ზამთრის თამაშების სსრკ ჩემპიონი და პრიზიორი;

1951-59 წლებში „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს მრავალგზის ჩემპიონი;

1951-59 წლებში მოიპოვა საქართველოს ჩემპიონატის ჩემპიონის ტიტული;

1954-55 წლებში იყო საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი;

მრავალი საერთაშორისო შეხვედრის მონაწილე და გამარჯვებული: ბულგარეთის, ჩინეთის, საფრანგეთის „ასკელის“, ეგვიპტის, და სირიის ტურნირის (1954წ.), ჩეხოსლოვაკიის, თურქეთის „გალათასარაი“, აშშ-ს ნაკრებთან, ავღანეთის განათლების სამინისტროს ნაკრებთან, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების „დინამოს“ გუნდებს შორის შეჯიბრში უნგრეთის გუნდთან „ჩეპელი“ (1957წ).

1954 წელს მიანიჭეს საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება.



პროფესორი ვაჟა გვანცელაძე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის საფაკულტეტო თერაპიის კათედრის და თბილისის მე-4 კლინიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების თანამშრომლებთან ერთად (ცენტრში კათედრის გამგე, პროფესორი გ. მხეიძე)

პროფესორი ვაჟა გვანცელაძე პედიატრიული ფაკულტეტის სტუდენტებთან პრაქტიკულ მეცადინეობაზე

პროფესორ **ვაჟა გვანცელაძეზე** მოგითხრობთ...

სახელოვან მამულიშვილზე, ღვაწლმოსილ ექიმსა და პედაგოგზე, მრავალთა მკურნალზე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორზე, პროფესორზე, ცნობილ სპორტის ოსტატზე კალათბურთში...

ბატონი ვაჟა საქართველოს სიყვარულით გულანთებული ქართველია, უებრო მეგობრობით, სიწრფელით, სულის სიმაღლით, სამაგალითო საქმეებით, უანგარობით ცნობილი მკურნალი.

კალათბურთს თამაშობდა ძალიან კარგად სკოლაში, მომავალ პროფესიად ფილოლოგობა ჰქონდა გადაწყვეტილი და თანაკლასელ გურამ რამიშვილთან ერთად მეცადინეობდა კიდეც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩასაბარებლად, მაგრამ დედის გულისთქმა და რჩევა უმთავრესი აღმოჩნდა — პროფესიად ექიმობა აირჩია. მედიცინა და კალათბურთი მისი ცხოვრების მუდმივი თანამდევი გახდა.

სპორტული წარმატებები მრავლდებოდა... თანაგუნდელები იხსენებდნენ: ვარჯიშის შემდეგ ბიჭებს გული გართობისა და დასვენებისკენ მიუწევდათ, ვაჟა თურმე ოთახში იკეტებოდა და სამედიცინო ლიტერატურას ეცნობოდა.

ამგვარად მიაღწია წარმატებებს მედიცინასა და სპორტში.

მრავალ საინტერესოს გვიამბობს ცნობილი თერაპევტის, პროფესორ გოგი მხეიძის მოწაფე, რომლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას წიგნი მიუძღვნა „გიორგი მხეიძე 100 წლისაა“, სიამოვნებით იხსენებს მასთან მუშაობის პერიოდს და დასძენს: „ბედნიერებაა იღბალი ასეთ მასწავლებელს რომ შეგახვედრებს“.

მადლიერებით საუბრობს ცნობილ პროფესორებზე, თავის მასწავლებლებზე — **ალექსანდრე ბაკურაძეზე, თამარ დეკანოსიძეზე, ალექსანდრე აბულაძეზე, ლევან ანჯაფარიძეზე, კონსტანტინე ვირსალაძეზე, ლევ არუინიზე...**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიის კათედრას, სადაც ბატონი ვაჟა 1959 წლიდან მოღვაწეობს, არაერთხელ შეეცვალა სახელწოდება, დღესაც იგი თბილისის მე-4 კლინიკური საავადმყოფოს თერაპიული სერვისის განყოფილების კონსულტანტია (განყოფილების გამგე, პროფესორი **გურამ გიორგაძე**), განყოფილება ემსახურება თერაპიული, კარდიოლოგიური, ნევროლოგიური პროფილის პაციენტებს.

ბატონი ვაჟა არაერთი სიახლის ინიციატორი და დამნერგავია — მისი საკანდიდატო დისერტაცია შეეხებოდა „ზვარეს“ მინერალური წყლის დადებით სამკურნალო ეფექტს პანკრეასის გარე სეკრეციულ ფუნქციაზე ქრონიკული ქოლეცისტიტითა და ქრონიკული გასტრიტით დაავადებულ პაციენტებში;

რასაც მოჰყვა მოსკოვში 1988 წელს წარმატებით დაცული სადოქტორო დისერტაცია, რომელიც გასტროენტეროლოგიაში მეტად საინტერესო მასალას მოიცავდა — გასტროსკოპიის თანამედროვე მეთოდს (იაპონური გასტროფიბროსკოპით) მრავლობითი დამიზნებით ბიოფსიას კუჭის დაავადებების დროს. გარდა ამისა, მის მიერ შესწავლილი იქნა შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ავადმყოფებში ელექტროკარდიოგრაფიულად ფარულად მიმდინარე კორონარული უკმარისობა მასტერის სინჯის გამოყენებით.

პროფესორ ვაჟა გვანცელაძის საქმიანობა არა მხოლოდ სამკურნალო, არამედ მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობაა, წლებთან ერთად დაგროვილი გამოცდილება 70-მდე სამეცნიერო ნაშრომს, რამდენიმე სასწავლო სახელმძღვანელოს მოიცავს. ქალაქის №4 კლინიკური საავადმყოფოში, სადაც ბოლო წლებში პროფესორი კონსულტანტად მუშაობს არაერთ მის მიერ აღზრდილ ექიმ-კლინიცისტს ითვლის, ახლაც რომ გვერდით უდგანან სახელოვან მასწავლებელს: **დ. კირკიტაძე, მ. დოლიაშვილი, ნ. კაციტაძე, დ. ხუროშვილი, მ. ვაჩეიშვილი, ლ. ბერიძე, რ. ზალუაშვილი, თ. ახალაძე, ნ. ლემონჯავა, მ. თათულაშვილი, ნ. ნაკაშიძე, ზ. მელაძე, თ. გიორგაძე, ნ. გაგნიძე, მ. მაღლათაძე, ნ. გაბუნია, ნ. ლევიძე, მ. ლომთაძე, ხ. ლეჟავა, მ. გოგრიჭიანი.** ბატონი ვაჟა განსაკუთრებული გულისტკივილით იხსენებს, აწგარდაცვლილ მოწაფეს, აკადემიკოს **გ. კალანდარიშვილს,** რომელიც მისთვის არა მხოლოდ მოწაფე, არამედ გამორჩეული კოლეგა, მეგობარი, მისი საქმის ღირსეული გამგრძელებელიც იყო.

საბჭოთა კავშირის სამედიცინო ინსტიტუტების პირველი საგაზაფხულო სპარტაკიადის გამარჯვებული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კალათბურთელთა გუნდი

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდი — აღმოსავლეთ ევროპის პირველი „დინამიადის“ ჩემპიონები

თერაპიული სერვისის განყოფილება, რომელზეც ვსაუბრობდით, 40 საწოლზეა გათვლილი. ინფარქტები, ჰიპერტონული კრიზი, კარდიული ასთმა, გულის უკმარისობა, არითმიების შეტევა, არასტაბილური სტენოკარდიები, მწვავე პნევმონიები, ბრონქული ასთმა, ინტოქსიკაციები, — აი, ის დაავადებები, რითაც პაციენტები განყოფილებაში მკურნალობენ.

ცხოვრება ფერადი და უფერული ფრაგმენტებისგან შედგება. ერთიც და მეორეც, ფაქტების სიმძაფრიდან გამომდინარე, დაუვიწყარია...

მრავალი სამედიცინო შემთხვევა ახსოვს... არასოდეს უღალატია პაციენტისთვის, პროფესიისთვის, კოლეგისთვის, მეგობრისთვის, სიტყვისთვის, საქმისთვის, თუნდაც დასახმარებლად მისული უცნობი ადამიანისთვის... ბატონი ვაჟას სიტყვა და საქმე მტკიცე და შესრულებადი იყო ყოველთვის ცხოვრებისაგან შემოთავაზებულ არაერთ რთულ სიტუაციაში, ყოველთვის პროფესიონალ ექიმად და უღალატო კაცად რჩებოდა, მედიცინაში და კალათბურთშიც.

პროფესორი ვაჟა გვანცელაძე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელების მიერ დაფასებული ამაგდარი პროფესორი და საზოგადო მოღვაწეა, იგი რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრია, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ქალიშვილების მამას ნატვრა ჰქონდა, ბიჭი ჰყოლოდა, კალათბურთს რომ გაჰყოლოდა... შვილიშვილებმა — **ნიკამ** და **ვაჟამ** — აუსრულეს ოცნება, ორივენი კალათბურთს თამაშობენ. ნიკა იტალიის ერთ-ერთ პრესტიჟულ გუნდშია, ვაჟა ჩვენი უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტია, სამედიცინო უნივერსიტეტის კალათბურთელთა და სოხუმის ვაჟთა კალათბურთელთა გუნდებში თამაშობს. დანარჩენნი, მისი ლამაზი ოჯახის ქალბატონები — მეუღლე, **ლამარა დადუნაშვილი** და ქალიშვილები — **ნანა** და **ლალი** ექიმები არიან, შვილიშვილები — **გვანცა,** წარმატებული დიზაინერი, **თამთა** — ექიმი, ერთ-ერთი ფარმაცევტული ფირმის თანამშრომელი, **ანუკა** კი ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის ცენტრში საქმიანობს.

ჩვენი უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი ექიმი, სახელოვანი მამულიშვილი, რჩეული, მრავალთა გადამრჩენი და აღმზრდელი, მედიცინის და სპორტის — „ორი ბატონის“ — ერთგული მსახური, პროფესორი ვაჟა გვანცელაძე 80 წლის ხდება.

ვუსურვებთ მას ამ საიუბილეო თარიღს, ჯანმრთელობას, სულის სიმრთელეს, წარმატებებს ვუსურვებთ!

მანანა ფხალაძე

სტუდენტური გვერდი

სალომე ბეზარაშვილი თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტია. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი, ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის თბილისის წარმომადგენლობის (EMSA-tbilisi) ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ჯანდაცვის განვითარების ახალგაზრდული ორგანიზაციის გენერალური მდივანი, თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს წევრი და თვითმმართველობის ეგიდით გამართული არაერთი ღონისძიების ორგანიზატორია. აქტიურმა, კომუნიკაბელურმა და განსაკუთრებული შარმით გამორჩეულმა გოგონამ ჩვენი ყურადღება გაზეთის წინა ნომერში სტუდენტური ცხოვრების ამსახველი მასალების მომზადებისას მიიქცია. ჟურნალისტის ალღოთი დაჯილდოებულს არაერთი საინტერესო იდეა აქვს გაზეთის სტუდენტურ გვერდთან დაკავშირებით. ჰოდა, დღეიდან ამ გვერდს თავადვე გაუძღვება. ლიტერატურითა და პოეზიით განსაკუთრებით დაინტერესებული, იმედია, შემოქმედებითი მუხტითაც მიიზიდავს და დააინტერესებს მკითხველს. წარმატებები ვუსურვოთ სალომეს გვერდის რედაქტორის ამპლუაში, სტუდენტურ გვერდს – მკითხველის სიმრავლე, მკითხველს კი საინტერესო წერილების გაცნობით მოგვრილი აღტაცება და სიხარული.

ალიანსი ჯანმრთელი საზოგადოებისთვის

პარლამენტში, ჯანდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელის, ბატონი **ოთარ თოიძის** მიწვევით, გაიმართა პრეზენტაცია – **„ალიანსი ჯანმრთელი საზოგადოებისთვის“**. პრეზენტაციას ესწრებოდნენ ჯანდაცვის სამინისტროს და საპარლამენტო ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. „ალიანსი ჯანმრთელი საზოგადოებისთვის“ სპიკერმა, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა, **გიგა სორდიამ,** ისაუბრა ალიანსის მიზნების და ამოცანების შესახებ. პრეზენტაციამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში და გამოითქვა მზაობა თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

პირველი საერთაშორისო...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორების, **ირინე და დავით (შალვა) ზარნაძეების,** ინიციატივით და **სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით,**

ბაკურიანში გაიმართა პირველი საერთაშორისო ზამთრის სკოლა-სემინარი. სემინარში მონაწილეობდნენ: **აზერბაიჯანის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.** სემინარი გახსნეს თსსუ-ის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა **დავით ქავჟანიძემ,** საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა **ბიძინა ზურაშვილმა** და ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფესორმა **სეირან ქოჩარიანმა.**

სემინარზე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა – ჯანდაცვის პოლიტიკა და ჯანდაცვის სისტემები სამხრეთ კავკასიაში, საინფორმაციო ტექნოლოგიები უმაღლეს სამედიცინო განათლებაში, კვლევითი უნარ-ჩვევები სამედიცინო განათლებაში.

ინტელექტუალური მარათონი



17 მარტს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის III სასწავლო კორპუსის „საშობაო დარბაზში", თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ინტელექტკლუბის მხარდაჭერით, გაიმართა ინტელექტუალური მარათონი – **„რა? სად? როდის?"...**

ტურნირში მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებით დაკომპლექტებული გუნდები, ინტელექტ-კლუბის უფროსი თაობის მოაზროვნეები თბილისის რეგულარული ჩემპიონატის სუპერლიგიდან და ელიტური სატელევიზიო ლიგიდან – სულ 28 გუნდი.

მარათონი მიზნად ისახავდა ქართველი მოაზროვნეების მომზადებას საქართველოს ჩემპიონატისა და საერთაშორისო ტურნირებისათვის.

გამოვლინდნენ გამარჯვებულები:

I ადგილი – **„26-ე საათი“:**

II ადგილი – **„ინტეგრალი“:**

ნიკოლოზ ჭურაძე, გიორგი შარაძე, აკაკი მოსახლიშვილი, დავით სიჭინავა, ანი მარდალეიშვილი, ნიკა ესებუა, ზურა კუპატაძე, რატი შუბლაძე, ალექსი სიუკავა, ირაკლი გუნია, ზაზა მანია, დათო ლომინაძე.

III – ადგილი – **„რვაფეხა“:**

ია მეტრეველი, ილია რევია, ნიკოლოზ აგლაძე, გაგი გაბრიჩიძე, ირაკლი ნაზღაიძე.

გამარჯვებულებს თსსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ საჩუქრად გადასცა წიგნები. მინდა აღვნიშნო, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ხშირად მასპინძლობს ისეთ მნიშვნელოვან ღონისძიებებს, როგორიცაა თბილისის რეგულარული ჩემპიონატი და უნივერსიტეტთა ჩემპიონატი – **„რა? სად? როდის?“** I ჩემპიონატი, სწორედ, თსსუ-ში ამჟამინდელი ინტელექტ-კლუბის პრეზიდენტის, **გიორგი მოსიძის** ინიციატივით ჩატარდა, ხოლო I უნივერსიტეტთაშორისი ჩემპიონატი 2006 წელს გაიმართა, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის, **გიგა სორდიას** ხელმძღვანელობით, რის შემდეგაც ღონისძიებას რეგულარული სახე მიეცა.

ია ჩიკვილაძე,
ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტი

ტუბერკულოზის მსოფლიო დღე

24 მარტი ტუბერკულოზის მსოფლიო დღეა, როდესაც რობერტ კოხმა (1882 წელს) ტუბერკულოზის გამომწვევი ბაცილა აღმოაჩინა.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ განვითარებად ქვეყანაში, ტუბერკულოზი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემაა – დაავადების გავრცელების მიხედვით ჩვენი ქვეყანა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონის 53 ქვეყანას შორის მეხუთე ადგილზეა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის და ჯანდაცვის განვითარების ახალგაზრდული ორგანიზაციის, ასევე, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით მიმდინარე ტუბერკულოზის პრევენციის პროექტის მხარდაჭერით, 23 მარტს თსსუ-ში ჩატარდა კონფერენცია, სადაც აღნიშნული საკითხის შესახებ შესახებ ისაუბრეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ,** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, **მიხეილ დოლიძემ,** აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის დირექტორმა, **შტეფან ჰეიკინმა,** დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორმა, **ნატა ავალიანმა,** თსსუ-ის ფთიზიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ლამარა ვაშაკიძემ** და თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა, **გიგა სორდიამ.**

24 მარტს გაიმართა მსვლელობა სახელმწიფო საკონცერტო დარბაზიდან თავისუფლების მოედნამდე, რომლის დროსაც დარიგდა საინფორმაციო ბუკლეტები; საღამოს კი რიყის პარკში გაკეთდა TB-ს ლოგოს ფორმის ცოცხალი ჯაჭვი და ცაში გაუშვეს ცის მანათობლები, წარწერით – „StOP TB!“.

სალომე ფანჩვიძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი

გალაკტიონის საღამო

19 მარტს III სასწავლო კორპუსის „საშობაო დარბაზში“ ჩატარდა გენიალური ქართველი პოეტის, **გალაკტიონ ტაბიძის** გარდაცვალებისადმი მიძღვნილი საღამო.

გალაკტიონის ცხოვრებაზე, მის შემოქმედებაზე და გამორჩეულ ინდივიდუალურ თვისებებზე ისაუბრეს მოწვეულმა სტუმრებმა, გალაკტიონ ტაბიძის ოჯახის წევრებმა, ქალბატონმა **ნუნუ ებანოიძემ** და ლიტერატურათმცოდნე **ინესა მერაბიშვილმა.**

პროექტის მიზანს სტუდენტების დაინტერესება და შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართვა წარმოადგენდა.

სპორტი

ოქროს მედალი – მომავალ ექიმს

თებერვლის თვეში საბერძნეთში, ქალაქ სალონიკში, ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 21 ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენებმა. შეჯიბრში წარმატებით იასპარეზა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა **გიორგი კალაძემ,** რომელმაც 100 კგ. წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა, ამასთანავე, თავისი გამოსვლა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მნიშვნელოვანი გამარჯვებით აღნიშნა – დაიკავა I ადგილი.

მორიგი წარმატება

დასრულდა სუპერლიგის მე-7 ტურის ცენტრალური მატჩი, სადაც ერთმანეთს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდი – **„თსსუ”** და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – **„თსუ”** დაუპირისპირდნენ.

სტუდენტური შეჯიბრი **„თსსუ-ის“** გამარჯვებით დასრულდა; დაძაბულ ბრძოლაში მეტოქე ანგარიშით – 83:74 დამარცხდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდის ლიდერი **აკაკი დვალიშვილია,** რომლის ანგარიშზე 13 ქულა და 12 მოხსნა.

თსსუ-ის სტუდენტების სახელით გვინდა გუნდს ეს წარმატება მივულოცოთ!

ექიმი ეფექტი

მეცნიერი ქალბატონი – ინდივიდუალური ხედვით და მრავალმხრივი ინტერესით

„ყოველი კეთილსინდისიერი წამოწყება აღრე თუ გვიან გაიმარჯვებს“...

ჩვენი გაზეთის მკითხველი მას იცნობს, როგორც იმ სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის მეცნიერს, რომლის სამეცნიერო კვლევის ძირითად მიმართულებას ქსოვილოვანი ინჟინერიისა და ღეროვანი უჯრედების ფუნდამენტური შესწავლა და კლინიკურ პრაქტიკაში მოწინავე ტექნოლოგიების ტრანსლაცია წარმოადგენს. ბოლო დროს სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემის სტუმარიც გახლდათ, სადაც სწორედ აღნიშნული კვლევის და მისი შედეგების მნიშვნელობაზე ესაუბრა ტელემაყურებელს. ახლახან საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ფარგლებში ჩვენს უნივერსიტეტში უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების მიერ წაკითხული ლექციების მთარგმნელის როლიც წარმატებით „მოირგო“ და ყველგან, სადაც კი „გაურთა“, საინტერესო, დახვეწილი, ნიჭიერი და მომხიბვლელი ქალბატონის იმიჯით მიიქცია ყურადღება.

ჩვენი არჩევანიც მეტწილად ზემოთქმულმა, ცოტაც – პირადმა სიმპათიამ განსაზღვრა და გაზაფხულის დადგომისთანავე თსსუ-ის კლინიკური ანატომიის მიმართულების ასოცირებულ პროფესორს, ქ-ნ **ეკატერინე ბერიშვილს** სასაუბროდ ვესტუმრეთ. მასთან ამჯერად მეცნიერებაზე საუბარი მიზნად არ დაგვისახავს, უფრო საგაზაფხულო-სადღესასწაულო განწყობის შექმნა გვსურდა ქალბატონებისთვის, თუმცა ნიჭიერი რესპოდენტი ყოველთვის ახერხებს საუბარი სასურველი მიმართულებით წაიყვანოს და მისთვის საინტერესო და აქტუალური თემები მკითხველისთვისაც საინტერესოდ აქციოს... და ინტერვიუც სხვაგვარი გამოგვივიდა. საუბარი კი იმ ლექციებით დავიწყეთ, რაზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ:

– ეკა, ჩვენი უცხოელი სტუმრების რამდენიმე ლექცია თქვენი თარგმანის საშუალებით სტუდენტებმა (და არა მარტო მათ) უკეთ გაითავისეს. რას იტყვით მათ ინტერესსა და, ზოგადად, ამ ლექციების მნიშვნელობაზე?

– უცხოელი პროფესორების მიერ წაკითხული ლექციები მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ სტუდენტების, არამედ, ჩვენთვის, პედაგოგების და ექიმებისთვისაც. ეს ლექციები იმითაც იყო საინტერესო, რომ სამეცნიერო კლინიკური ხასიათის გახლდათ და მოიცავდა მედიცინის სხვადასხვა დარგს: ნეეროლოგიას, იმუნოლოგიას, ჰეპატოლოგიას, უროლოგიას, პედიატრიას, გასტროენტეროლოგიას, გინეკოლოგიას, ონკოლოგიას, ქირურგიას და ა. შ. რამდენიმე ლექცია უშუალოდ შეეხო ჩვენი კვლევების ერთ-ერთ სფეროს, კერძოდ, ღვიძლის დაავადებების მკურნალობას უჯრედული თერაპიისა და ღეროვანი უჯრედების გადანერგვის საშუალებით. პროფესორებმა **სანჯივ გუფთამ** და **ნაგი ჰაბიბმა** ძალზედ საინტერესო ლექციები წაიკითხეს ამის შესახებ. მინდა აღვნიშნო, რომ უახლესი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოში 200 000 ადამიანი (6,7%) ინფიცირებულია C ჰეპატიტის ვირუსით. აღნიშნული დაავადებით დასნებოვნებული პაციენტების უმრავლესობას უვითარდება ღვიძლის ციროზი, ამ დაავადების მკურნალობის ერთადერთ ეფექტურ საშუალებას კი დღეისათვის წარმოადგენს ღვიძლის ტრანსპლანტაცია. მოგეხსენებათ, საქართველოში ორგანოების დონაცია ძალზედ მტკივნეული და ჯერ-ჯერობით გადაუჭრელი პრობლემაა, რომლის დაძლევაც, საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის დიდი ძალისხმევის მიუხედავად, სხვადასხვა მიზეზის გამო, რაზე საუბარიც შორს წაგვიყვანს, ვერ ხერხდება. აქედან გამომდინარე, ასეთი პაციენტების აბსოლუტური უმრავლესობა განწირულია. ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, აუცილებელია ისეთი მეთოდების შემუშავება და კლინიკაში ტრანსლირება, რომელთა საშუალებითაც შევძლებთ დავამარცხოთ ღვიძლის ციროზი ან გავაუმჯობესოთ აღნიშნული სენით დაავადებულ პაციენტთა მდგომარეობა. სწორედ ასეთ პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს უჯრედული თერაპია, კერძოდ ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცია. ჩვენი უცხოელი სტუმრების მიერ ძალზედ იმედისმომცემი შედეგები იქნა წარმოდგენილი. უდავოა, ეს დარგი პერსპექტიულია და საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი.

– ეს შესაძლებლობა, შეიძლება ითქვას, რომ მომავლის კი არა, უკვე ჩვენი დროის მედიცინაა?

– ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცია დასაბამს გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იღებს. ძვლის ტვინის გადანერგვა ოქროს სტანდარტს წარმოადგენს სისხლის ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობაში. ეს სიახლე ნამდვილად არ არის, მაგრამ მათი გამოყენება სხვა დღემდე უკურნებელი პათოლოგიების სამკურნალოდ შედარებით ახალი და ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა. **შემიძლია სრული პასუხისმგებლობით მოგახსენოთ, რომ დაახლოებით 10 წელიწადში მრავალი დღემდე უკურნებელი სენის განკურნება შესაძლებელი გახდება უჯრედული თერაპიის საშუალებით.** ამას საფუძვლად უდევს ექსპერიმენტული კვლევების დიდი რაოდენობა. დღეისათვის მრავალი ექსპერიმენტულად გამოწვეული დაავადების განკურნება დადასტურებულია ლაბორატორიულ ცხოველებში, ბევრი კლინიკური კვლევაც მიმდინარეობს, მაგრამ მათი დანერგვა კლინიკურ პრაქტიკაში ჯერ არ დასრულებულა.

– თქვენი დაინტერესება სამედიცინო მეცნიერებით გამოწვეული იყო თქვენივე მეცნიერული დაკვირვებით, თუ ვინმემ გიბიძგათ, გიკარნახათ, გნებავთ, გავლენა მოახდინა თქვენზე?

– არ ვიცი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მაგრამ არ მივეკუთვნები იმ ადამიანთა რიცხვს, რომელზეც შეიძლება გავლენა მოახდინო, ზოგადად, ცხოვრებაში და სრულად ვიზიარებ ოსკარ უაილდის მიერ გამოთქმულ აზრს: „იდეალები ძალიან საშიშია“... მიმაჩნია, რომ **საკუთარი ცხოვრების გზა ყველამ თავისებურად უნდა განვლოს,** სხვისი კოპირება არ მიმაჩნია მართებულად და ეს შეუძლებელიცაა. თუმცა ძალიან ბევრი მწერლის, საზოგადო მოღვაწის თუ მეცნიერის პირადი მაგალითით ვყოფილვარ თაგონებული. რაც შეეხება „პოზიტიურ გავლენას“ ჩემს პროფესიულ საქმიანობაზე, მე არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის ჯერ კიდევ III კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა ბატონ **ზურაბ კაკაბაძესთან** მოვხვდი, რომელიც, შეიძლება ითქვას, ბუნებით ინოვატორი გახლავთ, მუდმივად ძიებაშია და წილად მხვდა ბედნიერება მასთან მემუშავა. შემდეგ, უცხოეთშიც, გამიმართლა, რომ მოვხვდი პროფესორ **სანჯივ გუფთასთან,** რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ჩემს მეცნიერად ჩამოყალიბებაში.

– როგორ ფიქრობთ, რომ არა ექიმი, რა პროფესიის იქნებოდით?

– ალბათ, ფსიქოლოგი ან ჟურნალისტი...

– რას მიიჩნევთ თქვენს ცხოვრებასა და მეცნიერულ მოღვაწეობაში ყველაზე დიდ წარმატებად?

– წარმატებასა და აღიარებაზე არასოდეს მიფიქრია, უბრალოდ, **ძალიან მიყვარს ის საქმე, რითაც ვარ დაკავებული.** ჩემი, როგორც მეცნიერის ყველაზე დიდ წარმატებად მივიჩნევ იმას, რომ გახლდით უშუალო მონაწილე ისეთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევისა, როგორიც არის პაციენტის ორგანიზმში ახალი, ფუნქციურად აქტიური ორგანოს გამოზრდა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, პროფესორი ზურაბ კაკაბაძის მიერ იქნა მოწოდებული ეს იდეა, რომლითაც მეც გავხდი, ასე ვთქვათ, ინფიცირებული. ეს ის წლებია, როდესაც მთელ საქართველოში უაღრესად მძიმე ეკონომიკური და სოციალური ვითარებაა და უსახსრობასთან ერთად არაერთი სხვა დაბრკოლებისა, ჩვენ შევძელით ღვიძლის მიკროფრაგმენტებისგან გამოგვეზარდა ახალი ღვიძლი თვითრეციპიენტის ორგანიზმში. **მაშინ ბევრი ძალზე სკეპტიკურად უყურებდა ამ მიმართულებას, შესაბამისად, ჩვენც დიდი სამუშაო გავწიეთ, რათა დაგვემტკიცებინა საერთაშორისო ექსპერტებისთვის, რომ ეს არა მარტო შესაძლებელია, არამედ ამ მეთოდს დიდი პერსპექტივა აქვს.** ჩვენი კვლევის შედეგები აღიარეს და შრომა დაიბეჭდა ისეთ აღიარებულ სამეცნიერო ჟურნალში, როგორიცაა Nature Medicine. გავიდა წლები და ჩვენი ნაშრომის ციტირებებიც გამოჩნდა საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში. ეს ნიშნავდა, რომ ბევრი დაინტერესდა აღნიშნული კვლევებით და ასე განვითარდა ეს მიმართულება. დღეისათვის ტერმინი ქსოვილოვანი ინჟინერია უკვე ყველამ იცის. ამ მიმართულებით უამრავი კვლევა მიმდინარეობს მსოფლიოს წამყვან ლაბორატორიებში, მეტიც – შემუშავებულია ე.წ. ორგანოების პრინტერი, რომელიც ნამდვილად პრინტერია, მაგრამ კატრიჯში მელნის ნაცვლად უჯრედებია ჩატვირთული, რომლებიც აღნიშნული პრინტერის საშუალებით შრეობრივად გადააქვთ ექსტრაცელულურ მეტრიქსზე. სხვა მრავალი კვლევაც მიმდინარეობს ამ მიმართულებით და შედეგებიც ძალზე პერსპექტიულია.

რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ჩემს ყველაზე დიდ წარმატებად მივიჩნევ ჩემს ოჯახს – მყავს არაჩვეულებრივი მეუღლე და ერთი ვაჟიშვილი, რომელიც უკვე 18 წლის არის და დიდი სურვილი აქვს წარმატებული ექიმი მეცნიერი გახდეს.

– თქვენს ამჟამინდელ საქმიანობაზე, ინტერესებსა თუ მომავლის გეგმებზე რას გვეტყვით?

– ამჟამად გარდა სამეცნიერო კვლევებისა, დაკავებული ვარ პედაგოგიური საქმიანობით და ძალიან ვამაყობ ჩემი სტუდენტებით, მიხარია, რომ ბევრ სტუდენტს სურვილი აქვს ჩაება სამეცნიერო კვლევებში და საკუთარი წვლილი შეიტანოს მეცნიერების განვითარებაში. ბუნებრივია, ვცდილობ ყურადღების მიღმა არ დამრჩეს სამედიცინო მეცნიერების სიახლეები. 2012 წლის ივლისში მიწვეული ვარ და მონაწილეობას მივიღებ ბერლინში ტრანსპლანტოლოგთა საერთაშორისო საზოგადოების მსოფლიო კონგრესის მუშაობაში. საერთოდ, ვცდილობ, ნებისმიერი ასეთი ღონისძიება გამოვიყენო ჩვენი კლინიკური და სამეცნიერო საქმიანობის შედეგების საჯარო განხილვისთვის. ამგვარ თავყრილობებს, ტრადიციულად, ესწრებიან აღიარებული ექსპერტები და, ბუნებრივია, საინტერესოა მათი შეფასებები. შემდეგ ხდება ამ მონაცემების დამუშავება, რომლებიც ქვეყნდება საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო ჟურნალებში.

გარდა ამისა, მინდა გითხრათ, რომ გაერთიანებული ვარ განკურნების ალიანსში („The Cure Alliance“). ალიანსის მიზანია ბოლო მოეღოს დასნებოვნებული ადამიანების ტანჯვის ხარჯზე სარგებლის მიღებას, ხელი შეუწყოს მკურნალობის ახალი, ეფექტური მეთოდების შემუშავების დაფინანსებას, დღეისათვის ხელოვნურად შექმნილი გადაულახავი ბარიერების და დომინოს ეფექტის მქონე წინააღმდეგობების აღმოფხვრას. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია დაწვრილებითი ინფორმაცია მოიძიოს განკურნების ალიანსის როგორც ვებგვერდზე, ასევე, ფეისბუკის საშუალებით. ეწვიეთ The Cure Alliance-ის გვერდს მისამართზე: https://www.facebook.com/pages/The-Cure-alliance/369847463031781 ან http/thecurealliance.org/.



არსებობს მსოფლიოში მეცნიერების ჯგუფი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ კეთილსინდისიერი მეცნიერები. ვთქვათ, აღმოვაჩინე მეთოდი, რომელიც კურნავს დიაბეტს. მაგრამ ეს დაავადება, დასამალი არ არის, ხელსაყრელია ბევრი კომპანიისთვის. მაგ: მათთვის, ვინც აწარმოებს ინსულინს, რომლის რეალიზაციას მოაქვს უზარმაზარი თანხა, ფინანსური მოგება. აქ ჩართულია მთელი მანქანა. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ინსულინი კი არ კურნავს დიაბეტისგან, უბრალოდ, რაც აკლია ორგანიზმს, ის შეჰყავთ მასში. განკურნება ნიშნავს იმუშაო იმაზე, რომ თვითონ პანკრეასმა დაიწყოს ინსულინის გამომუშავება. ინსულინის ხანგრძლივად მოხმარების შემდეგ ადამიანებს უვითარდებათ არაერთი დაავადება. მეცნიერი კი, რომელმაც მიაგნო განკურნების მეთოდს, ყოველნაირად „იბლოკება“, ცდილობენ ეს ფაქტი არ იქცეს საჯარო განხილვის საგნად და ამის შეჩერება შეუძლებელი გახდა. ამიტომ აღიარებული მეცნიერები და მათი მომხრეები გაერთიანდნენ აღნიშნულ ალიანსში, რათა შეებრძოლონ ამ უსამართლობას.

– ეს ძალიან რთული იქნება. რას ემყარება თქვენი რწმენა, რომ ეს ბრძოლა, როგორც მათ უწოდებენ, კეთილსინდისიერი მეცნიერების გამარჯვებით დასრულდება?

– მე, რა თქმა უნდა, მჯერა, რომ ყოველი კეთილსინდისიერი წამოწყება აღრე თუ გვიან გაიმარჯვებს. რასაკვირველია, სირთულეები მართლაც ბევრია და მათი ერთბაშად დაძლევა შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის არაერთი მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი თავდაუზოგავად შრომობს და ამ შრომის შედეგად მიღებული აქვს, მართლაც იმედისმომცემი შედეგები, კლინიკურ პრაქტიკაში მათი ტრანსლაცია დღემდე ვერ ხერხდება სხვადასხვა ხელოვნურად შექმნილი ლეგალური თუ ინსტიტუციური ბარიერის გამო. სწორედ ეს არის ძირითადი პრობლემა სხვა მრავალ პრობლემათა შორის და მის დაძლევას რამდენიმე მეცნიერი, რა თქმა უნდა, ვერ მოახერხებს. ამიტომაც შეიქმნა ე. წ. განკურნების ალიანსი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, პროფესორი **კამილო რიკორდი.**

ძალზე მნიშვნელოვანია ყველამ გაიცნობიეროს, რომ ეს კრიტიკული საკითხები შესაძლოა ოდესმე მწვავედ შეგვეხოს ჩვენც და ჩვენს ახლობლებსაც. სამწუხაროდ, ხშირად ჩვენ გვაფხიზლებს საგანგაშო დიაგნოზი და მხოლოდ მაშინ თუ ვინტერესდებით და ვსვამთ კითხვას: რატომ არ არსებობს განკურნება ამა თუ იმ სენისა? **ჩვენი სურვილია შევქმნათ თანამოაზრეების დიდი მოძრაობა, რომელიც ხელს შეუწყობს ალიანსის მისიის წინსვლას და მნიშვნელოვანი ცვლილებების დანერგვას. აღნიშნულ ინიციატივას ყოველდღიურად უერთდებიან არა მარტო მეცნიერები, არამედ ყველა სექტორის ლიდერები, საზოგადო მოღვაწეები, ბიზნესმენები, ხელოვანები, შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები და ა.შ. ეს არის ყოველი ჩვენგანის შანსი, დავანახოთ მსოფლიოს, რომ ვზრუნავთ, გული შეგვტკივა და მხარს ვუჭერთ დაბრკოლებების მოხსნას მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვაში.** ვიმოქმედოთ მათთვის, ვინც უკვე დასნებოვნებულია და იმათთვისაც, ვისაც ეს ელოდება მომავალში. მიმაჩნია, რომ ყოველი ჩვენგანი უნდა გაერთიანდეს ამ უპრეცედენტო გუნდში, რაც საშუალებას მოგვცემს გავავრცელოთ სიტყვა, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალოს მილიონობით ადამიანის ცხოვრება მთელ მსოფლიოში!..

...იგი კვლავ გატაცებით და შთაგონებით აგრძელებს საუბარს კაცობრიობის კეთილდღეობისთვის ამ წამოწყების მნიშვნელობასა თუ უპირატესობაზე და სრულიად ზედმეტია ფილოსოფიური შეკითხვა სამყაროს მისეული აღქმისა თუ ცხოვრებისეული კრედოს შესახებ, თუმცა ჩვენი საუბარი კიდევ დიდხანს გაგრძელდა და ბევრ საინტერესო საკითხს შეეხო, რასაც გაზეთის რამდენიმე გვერდიც ვერ დაიტევდა: ლიტერატურა და ხელოვნება, სამშობლო და ბედნიერება... და მიუხედავად მკითხველისთვის შეთავაზებული „არასრულყოფილი ინტერვიუსი“, ვფიქრობთ ნათქვამითაც ნათლად იკვეთება პორტრეტი – ლაღი, უშუალო, საინტერესო, შთამბეჭდავი ქალბატონისა, რომელზე წერისას ცნობილი ფრაზა გაგვახსენდა: როცა ქალზე ლაპარაკი გსურთ, კალამი ცისარტყელაში ამოავლეთ და პეპელას ფრთებზე დააბერტყეთ... არ ვიცი, რამდენად შევძელით ამ ლამაზი ასოციაციის მკითხველისთვის გაზიარება თუ შეთავაზება, თუმცა სურვილი დიდი იყო. დიდი იყო იმიტომაც, რომ მისნაირები, „კეთილსინდისიერი მეცნიერები“, პიროვნებები – მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური ხედვით და საკუთარი პრინციპების ერთგულებით – გაცილებით ცოტანი არიან. ახალსაც არაფერს ვიტყვით თუ აღვნიშნავთ, რომ სწორედ ამ ერთეულების მხრებზე დგას კაცობრიობა და მათ მიჰყავთ საზოგადოება წინ.

გაზაფხულს ვულოცავთ გაზაფხულივით მშვენიერ ქალბატონს... ბუნებისგან ისედაც უხვად დაჯილდოებულს სხვა რა ვუსურვოთ, თუ არა ჯანმრთელობა და ახალ-ახალი მიღწევები ცხოვრებასა და მეცნიერებაში.

ნატო ბოლქვაძე

ხსოვნა

იმ დღეს დიდ დასტაქარს ემშვიდობებოდნენ...

2012 წლის 4 მარტი, კვირა დღე...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის ვესტიბიულში ესვენა ცნობილი დასტაქრის, პედაგოგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, თბილისის საპატიო მოქალაქის, **თენგიზ ახმეტელის** ცხედარი.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, მისი უეცარი გარდაცვალება მოულოდნელი იყო ყველასათვის, ვინც მას იცნობდა... და იცნობდა მთელი საქართველო.

ბატონი თენგიზის უკანასკნელ გზაზე გამცილებელთა რაოდენობას ვესტიბიული და ეზო ვერ იტევდა... აქ იყვნენ ჩვენი ქვეყნის სამედიცინო საზოგადოების თითქმის მთელი შემადგენლობა... დიდი მასწავლებლის სახელგანთქმული მოწაფეები, სტუდენტები, ჩვეულებრივი მოქალაქეები, ბატონი თენგიზისგან სიცოცხლეშეძენილი ადამიანები... ისინი ეთხოვებოდნენ ადამიანს, რომელმაც უმნიშვნელოვანესი ამაგი დასდო ქართული ქირურგიული სკოლის აღმასვლასა და წარმატებებს, რომელმაც მრავალს გაუკვალა გზა ქირურგიული მეცნიერებისა და საქმიანობისაკენ, რომელმაც მრავალთა სიცოცხლე გადაარჩინა...

სამძიმარს ოჯახის წევრებთან ერთად იღებდნენ სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროორექტორები, კანცლერი, კოლეგები.

გამოთხოვების ჟამს მოკრძალებული სიტყვა წარმოთქვა რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ:** „დიდია ჩვენი მწუხარება და გულისტკივილი. დაგვაკლდა უსაყვარლესი ადამიანი არა მარტო ჩვენს უნივერსიტეტს, არამედ მთელ სამედიცინო საზოგადოებას, ქვეყანას, რომლის საპატიო მოქალაქეც გახლდათ. გამორჩეული, პირუთვნელი, ერუდირებული, ბრძენი, ჩვენი უნივერსიტეტის სახე და სინდის-ნამუსი იყო ბატონი თენგიზი. ამიტომაც ჩვენც, მის ოჯახთან — მეუღლესთან, ქალბატონ მანანასთან, შვილებთან, შვილიშვილებთან ერთად, დიდი მწუხარებით ვემშვიდობებით ბუმბერაზი **გრიგოლ მუხაძის** მოწაფეს და ჩვენი დროის ქირურგიული სკოლის კორიფეს, ბატონ თენგიზს, ახმეტელთა დიდი გვარის წარმომადგენელს, რომელმა გვარმაც ეპოქა შექმნა არა მარტო მედიცინაში, არამედ თეატრშიც.“

დიდ მასწავლებელს გამოემშვიდობნენ მეგობრები და კოლეგები, პროფესორები: **გურამ ტატიშვილი, ოთარ ჩახუნაშვილი, ნოდარ ლომიძე...**

„ბატონი თენგიზი 65 წელი ემსახურა მედიცინის ამ ურთულეს დარგს — ქირურგიას. თავისი დიდოსტატობით მრავალთა სიცოცხლე გადაარჩინა და მათ ოჯახებში შეიტანა სიხარული. იგი იყო ვირტუოზი ქირურგი და მამის, ბატონი ილია ახმეტელის მიერ დაწყებული გზის ბრწყინვალე გამგრძელებელი,“ — აღნიშნა ბატონმა გურამ ტატიშვილმა.

„მისი სიკვდილით მეხი დამეცა, — თქვა ბატონმა ოთარ ჩახუნაშვილმა, — ძნელია უახლოეს მეგობართან განშორება. იგი ზედმიწევნით ფლობდა არა მარტო ქირურგიას, არამედ ანატომიას და ყოველთვის სხვისადმი დახმარების სურვილით იყო გამსჭვალული. დღენიადაგ ზრუნავდა და იღვწოდა ქირურგიის განვითარებისთვის.“

ბატონ **ნოდარ ლომიძეს,** თსსუ-ის ქირურგიულ სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ვისთან ერთადაც ბატონმა თენგიზმა დეპარტამენტში მრავალი წელი გაატარა, ხმაში უდიდესი მწუხარება შეეტყო უფროს მეგობართან, მასწავლებელთან და კოლეგასთან გამოთხოვებისას: „ძნელია, ბატონი თენგიზის შესახებ წარსულში ლაპარაკი. მის გვერდით ყოფნა დიდი ბედნიერება და სიძლიერე იყო. ქირურგიის უბადლო ცოდნასთან ერთად იგი უზადო ადამიანური თვისებებით გამორჩეული გახლდათ. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მასთან მიწევდა მოღვაწეობა და ვარ მისი ქირურგიული სკოლის წარმომადგენელი.“

ნათელი დაგემკვიდროთ, ბატონო თენგიზ, მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური მიწა, — ასეთი იყო გამომსვლელთა უკანასკნელი სურვილი დიდი დასტაქრის მიმართ.

ზღვა პროცესია მიაცილებდა ბატონ თენგიზს მარადიული სამყოფელისკენ. იგი გარდაიცვალა, მაგრამ სახელი და საქმენი აქ, ამქვეყნად დარჩა, რაც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

კაცი, რომელიც დააკლდა ყველას...

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი დასტაქარი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე, პროფესორი **თენგიზ ახმეტელი.**

თენგიზ ახმეტელი დაიბადა 1924 წლის 1 ოქტომბერს, თბილისში, შესანიშნავი დასტაქრის — ილია ახმეტელის ოჯახში. საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს მიაშურა. აქედან იწყება მისი დიდი სამედიცინო მოღვაწეობა.

ჯერ კიდევ პირველი კურსის სტუდენტმა დაწერა სამეცნიერო შრომა — „ადამიანის მენჯის თავისებურება მექანიკის თვალსაზრისით“, რომელმაც მოწონება დაიმსახურა და აკადემიკოსმა ა. ნათიშვილმა, მეორე კურსის სტუდენტი, ასისტენტად მიიწვია ნორმალური ანატომიის კათედრაზე. სწავლის პერიოდში გამოირჩეოდა მაღალი ერუდიციით, შრომისმოყვარეობით, იყო ი. თარხნიშვილის სახელობის სტიპენდიატი. 1947 წელს წარჩინებით ამთავრებს სამედიცინო ინსტიტუტს, 1947-1955 წლებში იყო ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი. 1947 წელს იწყებს ქირურგიულ მოღვაწეობას. 1951-1957 წლებში არის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ორდინატორი. 1951 და 1953 წლის ზაფხულის თვეებში მუშაობდა ყვარლის და თიანეთის რაისაავადმყოფოების წამყვან ქირურგად. 1954-1957 წლებში რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს გულ-მკერდის ქირურგიული განყოფილება ჩააბარეს, 1959-1961 წლებში იყო აკადემიკოს ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის, შემდეგ ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, 1961 წლიდან — თსსი-ის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ასისტენტი, 1963 წლიდან — დოცენტი, 1970 წლიდან — პროფესორი, ხოლო 1983-1995 წლებში — ამავე კათედრის გამგე. შემდეგ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მუშაობდა ამავე კათედრის პროფესორად.

მას წილად ხვდა ბედნიერება ემუშავა და თვალყური ედევნებინა ქირურგიის ისეთი კორიფესათვის, როგორიც იყო ქართული ქირურგიის ფუძემდებელი, აკადემიკოსი **გრიგოლ მუხაძე;** წლების განმავლობაში მუშაობდა აკადემიკოს **კ. ერისთავის** და პროფესორ **მ. ჩაჩავას** ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია, რომ მის დაოსტატებასა და პროფესიულად ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი აკადემიკოსმა **მ. კომახიძემ** შეასრულა.

ბატონმა თენგიზმა 1958 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „მწვავე სიკვდილის მექანიზმის საკითხისთვის ცხიმოვანი ემბოლიის დროს“, ხოლო 1967 წელს — სადოქტორო დისერტაცია ტოქსიური ჩიყვის ქირურგიული მკურნალობის საკითხზე. 1985 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, 1994 წელს აირჩიეს სამედიცინო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსად, 1997 წელს — სამხედრო სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსად. 1995 წელს იგი, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ქართველ მედიკოსთა შორის, რომელიც „ღირსების ორდენით“ დაჯილდოვდა. 2003 წელს აირჩიეს საქართველოს ქირურგიული ასოციაციის საპატიო წევრად, 2004 წელს, დაბადებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს ექიმთა ასოციაციის მიერ დაჯილდოვდა „ოქროს სამახსოვრო მედლით“ და „ოქროს სკალპელით“. 2007 წელს არჩეული იყო თსსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრად, 2009 წელს კი — თბილისის საპატიო მოქალაქედ.

პროფესორი თ. ახმეტელი იყო ბრწყინვალე ქირურგი, ერუდირებული და შემოქმედი მეცნიერი — მის მიერ შესრულებულია 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 21 მონოგრაფია და ორი დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის. შრომები ეხება ქირურგიის აქტუალურ პრობლემებს. პროფესორ თ. ახმეტელის მონოგრაფიები წარმოადგენს კაპიტალურ ნაშრომებს, მრავალი წლის მიზანდასახული კვლევის შედეგებს, შესრულებულს მაღალმეცნიერულ დონეზე; გამოქვეყნებული აქვს 5 მეთოდური რეკომენდაცია, მიღებული აქვს ორი პატენტი გამოგონებაზე, იყო სამი შრომათა კრებულის მთავარი რედაქტორი. მისი ხელმძღვანელობით კლინიკაში დაინერგა მკურნალობისა და კვლევის ახალი მეთოდები.

პროფესორი თ. ახმეტელი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის სამეცნიერო კადრების მომზადებაში, მისი ხელმძღვანელობით და კონსულტაციით შესრულებულია 9 სადოქტორო და 15 საკანდიდატო დისერტაცია. იყო მრავალი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციის ოპონენტი და რეცენზენტი. წლების განმავლობაში იყო საქართველოს ქირურგთა საზოგადოების გენერალური მდივანი (1972—81 წ.წ.), გრ. მუხაძის სახელობის თბილისის ქირურგიის სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, 1976-1985 წლებში — თსსი-ის ასპირანტურის განყოფილების გამგე, წლების მანძილზე — თსსი-ის საპრობლემო კომისიის წევრი, წოდებების მიმნიჭებელი პროფესორთა საბჭოს წევრი, სპეციალიზებული სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ამავე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და თავმჯდომარე (1996-2002 წ.წ.) წლების განმავლობაში იყო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და რესპუბლიკურ კლინიკური საავადმყოფოსთან არსებული ეთიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ქირურგთა და გასტროენტეროლოგთა საზოგადოებების გამგეობის წევრი, რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, თსსუ-ის ყოველწლიურ შრომათა კრებულის ქირურგიული შრომების რეცენზენტი. წაკითხული აქვს 84 მოხსენება ყრილობებსა და კონფერენციებზე, მათ შორის, 51 მოხსენება ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკების 21 ქალაქში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი გატაცება ალპინიზმით — როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებდა, წერაყინით ხელში მთებისკენ გასწევდა, მყინვარწვერსა და იალბუზზე, პამირზეც დაუდგამს ფეხი — მთებისა და მეცნიერების ძნელადსავალი მწვერვალებისკენ ისწრაფოდა მუდამ პროფესორი თ. ახმეტელი.

პროფ. თ. ახმეტელი გამოირჩეოდა უაღრესი თავმდაბლობით, კეთილშობილებით და უანგარობით, კეთილსინდისიერებით, საქმისადმი უდიდესი ერთგულებითა და სიყვარულით, მაღალი ერუდიციით და საკითხის ღრმა ცოდნით, მისი ლექციები ზედმიწევნით დახვეწილი იყო. მისი ოპერაცია უბრალო, დახვეწილი სტილით გამოირჩეოდა, ტექნიკურად რთულ სიტუაციაში ისეთ იოლ გამოსავალს პოულობდა, რომ ასისტენტები განცვიფრებაში მოდიოდნენ. მისთვის ოპერაციის შაბლონი არ არსებობდა, რამდენადაც არ არსებობს შაბლონი თვით პათოლოგიური პროცესის განვითარებაში. თითოეული ოპერაციის დროს ავლენდა დიდ შემოქმედებით ალღოს, იმპროვიზაციის უნარს და მაღალი კლასის ოპერაციულ ტექნიკას.

ბატონი თენგიზი ყოველთვის ყველაფრის საქმის კურსში იყო, იცოდა თანამშრომლების პროფესიული ინტერესი, ყოველდღიური საქმიანობა, ოჯახური მდგომარეობა, მისი კაბინეტის კარი ყოველთვის ღია იყო, ერთი საკონსულტაციოდ შედიოდა, მეორე — რჩევა-დარიგებისათვის, მესამე — უბრალოდ, სასაუბროდ. ყველას სალმიანი ღიმილით ხვდებოდა და გულუხვად უზიარებდა ცოდნასა და გამოცდილებას. მძიმე სიტუაციაში იგი ყველას თანამდგომი იყო.

პროფესორ თენგიზ ახმეტელს მდიდარი მეცნიერულ მემკვიდრეობა დარჩა.

ბატონ თენგიზს განვლილი აქვს სასახელო გზა, ჰყავს ათასობით განკურნებული ადამიანი, შესრულებული აქვს ბევრი სამეცნიერო შრომა, მათ შორის, სტუდენტთა და ექიმთა სახელმძღვანელოები.

დიდი მეცნიერის, ბრწყინვალე პედაგოგის, ღრმა მოაზროვნის, კლინიცისტის, სათნო, გულისხმიერი მკურნალის ცხოვრება ახალგაზრდა თაობისათვის მისაბაძი მაგალითია.

ბატონმა თენგიზმა თავის სათნო მეუღლესთან, მანანა ყიფიანთან ერთად, სამშობლოს აღუზარდა შესანიშნავი შვილები — ქეთევანი და ლალი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები, ღირსეული ადამიანები.

წავიდა ჩვენგან ქართული ქირურგიული სკოლის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი, ღვაწლმოსილი პედაგოგი და მეცნიერი, პრაქტიკული მედიცინის ძლიერი და თვალსაჩინო მოღვაწე, წავიდა ვალმოხდილი საზოგადოებისა და ოჯახის წინაშე; მის ხსოვნას პატივს მიაგებენ დამწუხრებული სამედიცინო საზოგადოება და მრავალრიცხოვანი მოწაფეები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქირურგიულ სნეულებათა მიმართულება (ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრა კლინიკის განყოფილებებით).

ხსოვნა

გამორჩეული



საქართველოს სამედიცინო საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი პროფესორი **ალექსი ხოჭავა.**

სულ რამდენიმე წინადადებით შეიძლება აღწერილ იქნას მისი ცხოვრების გზა, თითქოსდა მწირი განსაკუთრებული მოვლენებით, მაგრამ შინაარსით — ფრიად მდიდარი. დაიბადა 1927 წელს, ოჩამჩირეში. სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც, ასევე წარჩინებით დაასრულა 1948 წელს. განაწილებით მოხვდა ბელორუსიაში. 1951 წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში, მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში, ინფექციურ სნეულებათა კათედრაზე. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და განაწილებით კვლავ მოხვდა მინსკში, სადაც სამედიცინო ინსტიტუტის ინფექციურ სნეულებათა კათედრაზე ასისტენტად მუშაობდა.

საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მიერ 1957 წელს მივლინებული იყო რუსეთში, ქ. ჩიტაში, სამედიცინო ინსტიტუტის ინფექციურ სნეულებათა კათედრის დასაარსებლად.

1964 წელს ბელორუსიაში, ქ. გროდნოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, დააარსა ინფექციურ სნეულებათა კათედრა და გაზარდა ინფექციონისტების არაერთი თაობა. 1970 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, მიენიჭა პროფესორის წოდება.

ნათქვამია: ოჯახის გარეთ კაცი გვარისა და ოჯახის წარმომადგენელია, ქვეყნის გარეთ კი — თავისი ერისა და სამშობლოსი. ბატონი ალექსი შესანიშნავი ელჩი იყო საქართველოსი — სადაც უღვაწია, ყველგან საუკეთესო შთაბეჭდილებას ტოვებდა და ღირსეულად წარმოადგენდა ჩვენს ქვეყანას, სათანადო აღიარებაც ჰქონდა, თუმცა გული მაინც შინისაკენ უწევდა და 1978 წელს ოცნებაც აისრულა, დაუბრუნდა alma mater-ს — ბავშვთა ინფექციურ სნეულებათა კათედრის გამგედ დაინიშნა, ამასთანავე, იგი 8 წლის მანძილზე ასრულებდა ინსტიტუტის პრორექტორის მოვალეობას სამეცნიერო დარგში.

ბატონი ალექსის მიღწევები, უპირველესად, საკუთარი შრომის, ნიჭის, ძალისხმევის და, აგრეთვე, მეუღლის თანადგომის შედეგია. Self-made კაცი იყო. მაგრამ ერთია — შესანიშნავი ფესვებიც ჰქონდა. მრავალშვილიანი ოჯახიდან იყო. მშობლები — დამსახურებული ორდენოსანი მასწავლებლები, ოჩამჩირეში მოღვაწეობდნენ. პაპა — ივანე ხოჭავა ერთ-ერთ უსაჩინოეს სალოცავში — ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაში თითქმის 40 წლის განმავლობაში წირავდა. ოჯახის უფროს წევრებს განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა ჰქონდათ დიდ მოღვაწეებთან, ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელებთან — **ამბროსი ხელაიასა** და **ეფრემ სიდამონიძესთან.**

საჩინო ნათესაობის მქონე იყო, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უფროსი ძმა — ბატონი შოთა: ფილოლოგი, მასწავლებელი, პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ახლაც რომ აფხაზეთშია, რათა არ ჩაქრეს იქ ქართული სულიერების კელაპტარი. ასევე სხვანიც, საზოგადო მოღვაწენი, მეცნიერები - გობრონ ჯოხთაბერიძე (საქართველოს ტურიზმის საბჭოს თავმჯდომარე), ნიჟა ხურციძე (პროფესორი, ეკონომისტი).

ალექსი ხოჭავამ მოამზადა მედიცინის მეცნიერებათა 3 დოქტორი და 25 კანდიდატი. იგი 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. არაერთი მონოგრაფია გამოსცა და, ასევე, სახელმძღვანელო — სამაგიდო წიგნი ბავშვთა ინფექტოლოგიაში.

იგი გახლდათ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სამედიცინო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი, შეტანილია ბელორუსიის ენციკლოპედიაში, როგორც ბელორუსიის დამსახურებული მეცნიერი.

კატაკლიზმების მომსწრე იყო და ყოველთვის პატრიოტულ პოზიციაზე იდგა. აფხაზეთის ავადსახსენებელ ომში უახლოესი ნათესავიც დაეღუპა, აფხაზებს მაინც არასოდეს ახსენებდა აუგად, სჯეროდა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, აღდგებოდა აფხაზთა და ქართველთა ერთობა.

ოჯახის შექმნა და გაძღოლა — ესეც შემოქმედებაა. ბევრი რამეა საჭირო, პირველ რიგში — პირადი მაგალითი, გენიც, ცხადია, და, რასაკვირველია, სიყვარული. ქალბატონ ეთერ გვილავასთან (ექიმი-გინეკოლოგი გახლავთ) შესანიშნავი ოჯახი დააფუძნა, შვილი მანანა, ჩვენი უნივერსიტეტის სრული პროფესორი, მამის ტრადიციების გამგრძელებელი, შვილიშვილები, კარგი სიძეები, შვილთაშვილები — სახიერნი, გონიერნი, გამორჩეულნი.

საერთოდ რბილი კაცი მნიშვნელოვან საკითხებში ქედმოუხრელი იყო. ზოგჯერ გარკვეულ გულუბრყვილობას გამოიჩენდა ხოლმე, ესეც შინაგანი სისპეტაკის გამოვლინება იყო. ერთი ლამაზი თვისებითაც იყო გამორჩეული: არ უჭირდა სხვაზე კარგის თქმა. მახსოვს ახლად დანიშნული პროფესორი ვიყავი, კომისია დაესწრო ჩემს ლექციას. კომისიაში ბატონი ალექსიც იყო, რომ დავასრულე, შემაქო: თქვენ თურმე ორატორი ყოფილხართო, — მითხრა. გასაგებია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა ეს სიტყვა ჩემთვის. შემდგომ დიდი პატივი დამდო, შედარებით ახალგაზრდა მეცნიერს შვილის — ქალბატონი მანანას სადოქტორო დისერტაციის კონსულტანტობა შემომთავაზა. ამისთანა მამის შვილს რაში ჭირდებოდა ჩემი ხელმძღვანელობა, მაგრამ ბატონმა ალექსიმ ასე მიიჩნია საჭიროდ.

ბევრი ტიტული და ჯილდო დაიმსახურა, მთავარი კი მაინც ისაა, რომ ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან, verehrt und geliebt — ახლობლების, მოწაფეების, კოლეგებისა და პაციენტების სიყვარულითა და პატივისცემით გარემოცული.

პროფესორმა ალექსი ხოჭავამ ქართველ მედიკოსთა თანავარსკვლავედში სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი.

პროფესორი
ყარამან ფალავა

დაბადებიდან 100 წლისთავისთვის

ცნობილი ქართველი სასამართლო ექიმი

სასამართლო მედიცინის გამორჩეულ მოღვაწეს, პროფესორ **ვახტანგ სიმონის ძე შანიძეს** დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა.

ვ.შანიძე დაიბადა ზესტაფონის რაიონის სოფელ მარტოთუბანში. საშუალო განათლება ჭიათურის საშუალო შრომით სკოლაში მიიღო და 1930 წელს ჩაირიცხა ახლადშექმნილ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო-პროფილაქტიურ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით 1935 წელს დაამთავრა.

ვ.შანიძე ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ამავე უმაღლესი სკოლის პათოლოგიური ანატომიისა და სასამართლო მედიცინის კათედრის ექიმლაბორანტად. 1937 წელს ვ.შანიძე ჩაირიცხა ასპირანტურაში სასამართლო მედიცინის განხრით და ამავე წელს არჩეულ იქნა კათედრის ასისტენტად. 1940 წელს მან ,,ცოცხალშობილთა და მკვდარშობილთა სიკვდილის მიზეზების" თემაზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1941 წლის 30 ივნისს, სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით, პათოლოგიური ანატომიისა და სასამართლო მედიცინის კათედრა გაიყო და ჩამოყალიბდა სასამართლო მედიცინის დამოუკიდებელი კათედრა, რომლის გამგედ არჩეულ იქნა დოცენტი გრიგოლ მათიაშვილი. აღნიშნულ კათედრაზე აგრძელებს მუშაობას ვახტანგ შანიძე და 1942 წელს მას ირჩევენ სასამართლო მედიცინის კათედრის დოცენტად. გრ. მათიაშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1959 წელს, ვ.შანიძეს ირჩევენ სასამართლო მედიცინის კათედრის გამგედ, რომელსაც ის განაგებდა 1978 წლამდე.

1962 წელს ბატონი ვახტანგი იცავს სადოქტორო დისერტაციას და 1964 წელს ენიჭება პროფესორის სამეცნიერო წოდება.

პროფესორ ვ.შანიძეს გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის — 9 მონოგრაფია და ერთი სახელმძღვანელო სასამართლო მედიცინაში. ამ შრომებმა დიდი როლი შეასრულა საქართველოში სასამართლო მედიცინის თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლის საქმეში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მის მიერ შექმნილი პირველი ორიგინალური ქართულენოვანი სახელმძღვანელო, რომელზედაც აღიზარდა ქართველ ექიმთა მრავალი თაობა. ვ. შანიძის ხელმძღვანელობით შესრულდა რამდენიმე საკანდიდატო დისერტაცია სასამართლო მედიცინაში.

ნაყოფიერი სამედიცინო პედაგოგიური მუშაობის პარალელურად ვახტანგ შანიძე მნიშვნელოვან პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა: 1937-1946 წლებში იყო საქართველოს ჯამრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მთავარი სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, 1952-1958 წლებში მუშაობდა მთავარი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს განყოფილების გამგედ, ხოლო 1959-1978 წლებში კი კვლავ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარ სასამართლო სამედიცინო ექსპერტად ინიშნება.

ვახტანგ შანიძე პრაქტიკული საქმიანობით დიდ დახმარებას უწევდა საქართველოს საგამოძიებო-სასამართლო ორგანოებს კანონიერების დაცვის განხორციელების საქმეში და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს - მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურების ხარისხის ამაღლებაში.

ვ.შანიძე 1959 წლიდან იყო საქართველოს სასამართლო ექიმთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, 1969 წლიდან სასამართლო მედიკოსთა საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის წევრი, იყო სასამართლო მედიცინაში საკავშირო ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი, საბჭოთა კავშირის დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის სასამართლო მედიცინის განყოფილების რედაქტორი.

ვახტანგ შანიძე აქტიურად მოღვაწეობდა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოში, იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრი, საქართველოს პათოლოგანატომთა და საქართველოს ისტორიკოსთა საზოგადოებების წევრი.

პროფესორი ვახტანგ შანიძე მომხიბლავი, კეთილშობილი, კაცთმოყვარე პიროვნება იყო, გამორჩეოდა განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით, უშრეტი ენერგიით; იყო შესანიშნავი ორგანიზატორი, კარგი პედაგოგი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და დარგის პროფესიონალი, თავმდაბალი და გულისხმიერი, ჭირსა და ლხინში თანამდგომი მეგობარი, ოჯახზე მზრუნველი, შესანიშნავი მოქალაქე. ამ თვისებებმა მას მოუპოვა ღრმა პატივისცემა, სიყვარული და დიდი ავტორიტეტი ექიმთა და იურისტთა შორის და, საერთოდ, ქართულ საზოგადოებაში.

პროფესორი
გესარიონ კილასონია
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

სამძიმარი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, ქირურგიულ სნეულებათა მიმართულების კოლექტივი, „სამედიცინო გაზეთის" რედაქცია მწუხარებას გამოთქვამენ ცნობილი ქირურგის, ღვაწლმოსილი პედაგოგის, პროფესორ

თენგიზ ახმეტელის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტი, „სამედიცინო გაზეთის" რედაქცია მწუხარებას გამოთქვამენ თსსუ-ის ყოფილი პრორექტორის და ბავშვთა ინფექციურ სნეულებათა კათედრის გამგის, პროფესორ

ალექსი ხოჭავას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, ბიოეთიკის და მედიცინის ისტორიის დეპარტამენტი, „სამედიცინო გაზეთის" რედაქცია მწუხარებას გამოთქვამენ თსსუ-ის ყოფილი ფილოსოფიის კათედრის გამგის, პროფესორ

გიორგი ვეკუას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.